



საქართველო  
Deloitte Legal  
23 აგვისტო 2021

## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

#### ახალი კანონი მეწარმეთა შესახებ

2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი, რომელიც ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან.

კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოქმედ კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, სამეწარმეო ურთიერთობაში კანონის როლის გაძლიერება და ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს კორპორატიული სამართლის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

კანონი აწესრიგებს მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტთან, კეთილსინდისიერების ვალდებულებასთან, სამეწარმეო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვასთან/გასვლასთან, საზოგადოების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს/სიახლეებს. კანონს შემოაქვს დისპოზიციური ნორმები, რომელთა გამოყენებითაც მხარეები შეძლებენ, უკეთ მოაწესრიგონ კორპორატიული ურთიერთობები.

ახალი კანონის შესაბამისად, საქართველოს 25 კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან.

## სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანება № 07 და ბრძანება № 08

2021 წლის 23 ივლისს სახელმწიფო ინსპექტორმა მიიღო ბრძანება (№07) პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე, რომლითაც დადგინდა ორი მნიშვნელოვანი საკითხი:

- პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესი; და
- ნებართვის მიღების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა.

აღნიშნული წესი ვრცელდება პერსონალური მონაცემების სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ისეთი გადაცემის დროს, როდესაც ინსპექტორის ნებართვის გამოთხოვა სავალდებულოა პერსონალურ მონაცემთან დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს პერსონალური მონაცემების სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების წესებით გათვალისწინებულ ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე.

ბრძანება №07 ძალაშია 2021 წლის 26 ივლისიდან.

2021 წლის 6 აგვისტოს სახელმწიფო ინსპექტორმა მიიღო ბრძანება (№ 08) პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ. ბრძანებით დადგინდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების წესი, მიზნები და ძირითადი პრინციპები.

ბრძანება ძალაში შედის 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #996 “გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

2021 წლის ივლისის თვეში საქართველოს ფინანსთა მინისტრის #996 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, მათ შორის:

- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე, დღგ-ის გამოანგარიშების და გადახდის ვალდებულება წარმოემოხა უცხოელ დასაბეგრ პირს, თუ მის მიერ გაწეული ციფრული მომსახურების გაწევის ადგილს წარმოადგენს საქართველო და ეს ოპერაცია არ იბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად უკუდაბეგრის წესით;
- დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ ციფრული მომსახურებების გაწევა;
- დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის ციფრული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ მიღებული/მისაღები ანაზღაურება, დღგ-ის გარეშე;
- დღგ-ის საანგარიშო პერიოდია კვარტალი, ანუ დროის მონაკვეთი:
  - ა) 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით (I კვარტალი);
  - ბ) 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით (II კვარტალი);
  - გ) 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით (III კვარტალი);
  - დ) 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (IV კვარტალი).
- დღგ-ის განაკვეთი შეადგენს 18%-ს;
- უცხოელი დასაბეგრი პირი საქართველოს ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ვალუტაში, თავისი არჩევანის შესაბამისად:
  - ა) აშშ დოლარი;
  - ბ) ევრო;
  - გ) ლარი;
- უცხოელი დასაბეგრი პირი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული პორტალის მეშვეობით, მისი პირადი გვერდიდან, ყოველ საანგარიშო პერიოდზე წარმოადგინოს საგადასახადო დეკლარაცია არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვისა და გადაიხადოს გადასახადი არაუგვიანეს ამავე თვის ბოლო დღისა.

აღნიშნული ინსტრუქციის მოქმედება შეჩერებულია 2021 წლის 1 ოქტომბრამდე.


# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.